ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3824987

ნომერი: AR1566350

თარიღი : 21.12.2017

გაცემის თარიღი : 15.02.2018

გაცნობის თარიღი : 20.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , ფერდობი N10 (ნაკვეთი 16/091);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნარიმან ფირცხელიანი პ/ნ 12001052034
- თბილისი ჯავახეთის III შეს. N 5 ბ. 73

ორგანიზაცია:
- შპს გაზ ჯორჯია ჰოლდინგ კოდი: 406226579

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - გაზგასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 21 დეკემბრის AR1566350 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:01.10.13.016.091) არსებულ გაზგასამართ სადგურთან დამატებით თხევადი გაზის გასამართი სადგურის (დისპანსერი და 5-მ3 -იანი ცისტერნა კომპლექტში) მოწყობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ‘’საავტომობილო გზების შესახებ’’ საქართველოს კანონის (მუხლი 22 პუნქტი 1. ქვეპუნქტი თ-ს) თანახმად ,,ხიდების ბურჯებთან ნავების და სხვა სანაოსნო საშუალებათა მიდგომა, გზაგამტარების, ესტაკადებისა და ხიდების ქვეშ სადგომის, გასასვლელების, აგრეთვე ნავების სადგურებისა და სხვა რაიმე ნაგებობების მოწყობა’’ აკრძალულია. გარდა ამისა, აღნიშნული კონსტრუქცია კეტავს ტროტუარის სავალ ნაწილს, რაც პრობლემას შეუქმნის ფეხით მოსიარულეებს.

ამასთან საკითხი 2018 წლის 25 იანვრის #06–01180252439 წერილის საფუძველზე გადაგზავნილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, რომლის პასუხის შესაბამისად (წერილი: #16–01180363752 05.02.2018) ტრანსპორტის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში მიიჩნევს, რომ ქ.თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ფერდობი N10 (ს/კ N01.10.13.016.091; AR1566350) არსებულ გაზგასამართ სადგურზე დამატებით თხევადი გაზის გასამართი სადგურის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებზე თანხმობის მიცემა მიზანშეწონილი არ არის.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 21 დეკემბრის AR1566350 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.